



**შინაარსი:** რა გემართებს, რა გვეკირება? (მეთური); ზოგიერთებს, ლექსი—ლუტუ მეგრელისა; აქტიორი, თეატრი და რეჟისორი—ა. იუენინსა (თ. ა. ი. სუმბათაშვილისა); ელეგია, ლექსი—ი. მკელიძისა; ქართული დრამატული სკოლა—პ. დადვამისა; 119 წელი ქართული თეატრისა—პ. მ—სა; წყურვილი, დრამა 3 მოქ. (დასასრული) ს. გლახაშვილისა; ლექსი — კ. ფშაველასი; დრამატურგთა ჯილდო, წერილი მოსკოვიდან—ი. გ—სა; დრამის მოკლე ისტორია (გაგრძელება) — ნარვილისა; უცხოეთის თეატრი — ე. როტზანი და მისი პიესა „შანტეკელი“— დ. ჯ—სა; ქართული თეატრი Ro-Ben-ისა; სომხური თეატრი — აპარონიანის ახალი პიესა — Artemius-ისა; მუსიკა — D. Davidian-ისა; სურათები: ა. იუენინი, ნ. გვარამე, ბ. მელიქიანი და სხ.

**რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ლევ. მეტრეველის წერილი „სიტყვა-კახმულ ნაწარმოების საერთო დაფასება“ ამ ნომერში ვერ მიდის. სრულიად დაბეჭდება შემდეგ ნომერში.**

**ჟურნ. „თეატრი და სხვაობა“**

ერთის წლით დამატებიანად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. თითო ნომერი 10 კ. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც; ხელის მოწერის დროს 2 მან., დანარჩენიც ორ ნაწილად.  
 ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში ი. იმედაშვილთან 10—2 საათამდე; 5—8 ს.  
 ფოსტის ადრესი: Типограф. Контора Груз. Драм. О-ва. Гос. Зах. Имедашвили.



დამსახურებული მსახიობი და დრამატურგი **თ. ალ. ივ. სუმბათაშვილი-იუენინ** ავტორი ზეისთა „დალაცია“ს, „ბორკილი“ს, „წინამძღოლნი“ს და სხ.

31 იანვარი 1910 წ.

**რა გემართება, რა გვეჭირება?** ყოველი საზოგადო საქმე ცხოველყოფელია იმდენად, რაედენადც მისი შემადგენელი წევრნი ცხოვროდ ეკიდებიან ნაკისრ საქმეს.

უკვე 30 წელიწადია ქარ. დრ. საზ-ბა არსებობს, არსებობს მუდმივი ქართული დასი, სცენა, მაგრამ ყველა ხედავს, როგორ მიზოზინობს ხოლმე სენონი: დასი საზოგადოებას ემღერება, საზოგადოება დასს, ორივე გამგეობას, გამგეობა ყველას... ეძებენ საქმის წინ წაუსვლელობის მიზეზს და... მხოლოდ ლაპარაკით თავდება ალიაქათი.—

ამას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს...

უმთავრესად-კი ის, რომ ჩვენში **საზოგადო მოღვაწეობა** საქმის პრაქტიკული განხორციელებით-კი არ იციან, არამედ ისე, ზერელად... საკმაოა, ვინმეს „საზოგადო მოღვაწის“ იარლიკი მიაკრან,—მორჩა და გათავდა,—საქმეს აკეთებს თუ არა, ამას აღარავინ დაკიდებს...

ან და, უმეტეს შემთხვევაში: თუ რომელიმე საქმის საზოგადო მოღვაწე მოწინააღმდეგე, ხშირად პირადად ჩამომტერებულ პირათვის არა სასიამოვნო ადამიანი, მოჰყვებიან და მიწასთან გაასწორებენ... მთელ **საზოგადო საქმეს!**

ასეთი არა სასურველი თვისება გვლუბავს იმ თავიდან აქამომდე...

ვინ არ იცის, რომ შენ-ჩემობა, პირადი კინკლაობა არავითარ საზოგადო საქმეში არ გამოდგება... არ გამოდგება, მით უმეტეს, სათეატრო საქმეში...

ამ მოვლენაზე მივაქცევთ ჩვენის ხალხის წინსვლის მონატრეთა ყურადღებას და კიდევ ერთხელ მოვავანებთ თავიანთ მოვალეობას ქვეყნისა და სამშობლო სცენის წინაშე...

დღეს ქარ. დრ. საზ. საგანგებო კრებამ უნდა აირჩიოს ოთხი წევრი გამგეობისა: რაედენად შეგნებული ვართ, დღეს გამოჩნდება, დღეს გამოჩნდება—მართლა საქმე გვიყვარს, თუ იარლიკით „საზოგადო მოღვაწეობა!“...

რაიცა შეგნება მხოლოდ **სახელით წევრებს**, რომელნიც დრ. საზ. წევრებად ჩაწერილან, ხოლო კუთვნილ გადასახადს-კი არ იხდიან,—

მათზე ლაპარაკი მეთია... დროა, თვალთავან ბინდი მოვიშოროთ, პლატონიურად საქმის სიყვარულს გვერდი აუხუიოთ და პრაქტიკულად განვახორციელოთ საქმისადმი ტრფიალება... აი, რა გემართება, რა გვეჭირება დღეს...



მ თ ე ი ე რ თ ე მ ს

რა ვაწუხებებს,  
ვინ ეტყვის დედას,  
შიმიმე ავადმყოფს  
როცა შეიღს ხედავს?  
ან შეყვარებულს  
ვინ უზრახავს ცრემლს,  
როს ბორკილებში  
უმზერს საყვარელს?  
მიკვირს, მაშ, გგოსანს  
რად ეუბნებით,  
მოგვაბეზრეო  
თავი ცრემლებით,  
როცა უყურებს  
იგი მამულსა,  
დაბნეავებულს  
და დაჩაგრულსა?!  
როგორც ვერ შესწყვეტს  
დედა ტირილსა,  
ვდრე არ ნახავს  
შვილს, მორჩენილს,  
და ვერ დასცრება  
შეყვარებული,  
ვიდრე ჰყავს სატრფო,  
დატყვევებული,—  
აგრეც გგოსანიც  
ვერ დამშვიდდება,  
ვიდრე მამულს ხსნა  
არ ელირსება!...

დაუთუ მებრელი



აქტიორი, ავტორი და რეჟისორი

თეატრი მოვალეა აქტიორს საშუალება მისცეს, რომ თავისი ბუნებრივი ნიჭი განავითაროს, მისცეს სამუშაო მასალა. რაც უნდა გენიოსი იყოს ინჟენერი, ის ვერაფერს მიაღწევს, თუ მას ასაშენებელს არას მისცემენ, აგრედვე არაფერს წარმოადგენს მომღერალი, თუ სამღე-

რაღს არას მისცემენ, ან მწერალი, თუ სა-  
წერს არ მისცემენ, მაშასადამე აქტიორიც, თუ  
მას არ მისცემენ სათამაშოს. ეს საანბანო ქეშ-  
მარტივება, რომელიც საფუძვლიანად დავიწყე-  
ბულია ბევრის თეატრის პრაქტიკაში. თეატრი  
— არ არის სათეატრო სასწავლებელი. როდესაც  
აქტიორს მიცემული აქვს სამუშაო, მას  
თეატრში არც უნდა წავუყენოთ მხოლოდ ის  
მოთხოვნილებანი, რომელნიც სკოლის შეგირდს  
შეეფერება. როდესაც აქტიორს ძალას ატანთ,  
რომ მან შექმნას, შევლით თამაშობასა და  
როლის შეგებაში, შევლით შეცდომის ვასწო-  
რებაში და აყენებთ მას ლიანდაგზე, მაშინ სპობთ  
მნიშვნელობას თეატრისას, როგორც დამოუკი-  
დებელ ხელოვნებისას, რომელიც თხოულობს და-  
მოუკიდებელ მხატვართა და აძლევთ ხასიათს  
განმათლებელ, ტენიკურს და ბოლოს კომერ-  
ციულ დაწესებულებას. ამაზედ აშენებული  
თეატრი — არ, ჩაითვლება თეატრად, რაც უნდა  
კარგად მოჩანდეს მისი საქმენი. ვიმეორებ,  
ჩემი რწმენა: საერთოდ თეატრი — აქტიორია,  
აქტიორები, აქტიორების დასი მხოლოდ და  
თუ სკოლაა, ისეთი, როგორიც იყო რაფაე-  
ლებისა და რუბენსების დროს; სკოლაა, რო-  
მელიც ანეთარებს ნიქს და თხოულობს ხე-  
ლობას კი არა, ხელოვნებას. ამიტომ ვისაც  
უნდა ეს საპატიო სახელი ატაროს, სულით  
უნდა იყოს აქტიორი და არა დიპლომით, ან  
პასპორტით. ფედორტოვისამ მიაბო, რომ მან  
უდიდეს ქებად ჩასთვალა ის, რომ ათის წლის  
შემდეგ მისის მუდამ კარგი თამაშობისა, მასთან  
მივიდა პ. მ. სადოვსკი, როდესაც მსახიობი  
ქალი კატარინას თამაშობდა „ჭირვეული ცო-  
ლის მორჯულებაში“, დასუნა თუთუნს და  
უთხრა: „აი, შენც აქტირისა ვახი“. აქედან  
ცხადად სჩანს, თუ როგორი სკოლა უნდა  
იყოს თეატრი ახალგაზღობისათვის და ან რო-  
გორ უტკბოდენ ქურუმნი ჩვენი საქმისა ახ-  
ლად ფეხადგმულ ხელოსანთ, განა ასეა სა-  
ქმე ახლაც? მე ჩვენს თეატრზე კი არ ვიტყვი,  
მაგრამ აუცილებლად დავცა ჩვენს დროში ხე-  
ლოვნება: ამას ჩვენს თეატრზე არ ვამბობ,  
იმის გამო კი არა, რასაც ფრანგები „თავისის  
საყდრის გუმბათის პატრიოტიზმს“ უძახიან,  
არამედ იმიტომ, რომ მართლაც ჩვენსასა და  
ალექსანდრიის თეატრში დაცულია ინდი-

ვიდუალური და დამოუკიდებელი შემოქმე-  
დება, როგორც პრინციპი, დატულია ძლიე-  
რად, ვიდრე სხვაგან სადმე რუსეთშიცა თუმცა  
ერთხანად ჩვენცა გვეკონდა ლტოლვილებმა ხე-  
ლოვნების დემოკრატიზაციისაკენ. ეს პრინცი-  
პი ინდივიდუალურ და დამოუკიდებელ შემო-  
ქმედებისა ჩვენ ყველაზე მეტად უნდა დავიცი-  
ვათ, მისთვის ყოველი მსხვერპლი უნდა დავიცი-  
სროთ, უნდა ავიტანოთ გულგრილობა ჩვენ-  
დამი საზოგადოების-მიერ, განგაში და დაცემა  
გაზედებისა და მსხვერპლად უნდა დაფუძოთ  
ავრედვე ჩვენი თავმოყვარეობა. მოთხოვნა ჩვე-  
ნისავე თავიდან კარგის თამაშობისა, დაფასება  
იმისა, რომ ჩვენ კარგად თუ ცუდად ვთამა-  
შობთ, — ეს უნდა განვავითაროთ უმაღლეს  
ზომამდე დაუდევრობა, გულგრილობა, მასხო-  
რად აღება — ჩვენის საქმის უდიდესი დანაშაუ-  
ლობაა. ამას გარდა, ჩვენ, რაც უნდა გვეკონ-  
და არ უნდა ვიყოთ კმაყოფილი ჩვენის თამაშო-  
ბისა, მუდამ უნდა ვამაღლებდეთ მას და ისე  
ვთვლიდეთ, რომ ყოველი წარმოდგენა პირვე-  
ლია და ყოველივე როლი პიესაში უმთავ-  
რესია. ესეც ცოტაა. ჩვენ უნდა შევიჩვიოთ  
და დავისახოთ, ვით საბოლოო მიზანი ის,  
რომ ყოველივე როლის შესრულებას ჩვენგან  
უნდა ჰქონდეს სათავე და ხასიათი არა ხელო-  
ბისა, არამედ შემოქმედებისა, როგორის გამოი-  
თაქ უნდა სჩანდეს იგი; ეს შეიძლება გამოჩნ-  
დეს უფრო მეტად პორაკეთსში, თუ მას ნიქი-  
ერი კაცი თამაშობს, ვიდრე ჰამლეტში, როცა  
მას უნიქო კაცი ასრულებს. ტენიკაზე არას  
ვიტყვი: ეს ანბანია ჩვენი საქმისა. ესეც ცო-  
ტაა. ხშირად დიდად ნიქიერ კაცთ როლს  
არ შეაძლებენ ხოლმე. ჩვენ იმდენი მამაცო-  
ბა უნდა გვეკონდეს, თუ თეატრი გვიყვარს,  
რომ უშუკვლად რომელიმე როლი არ მოვი-  
დომოთ, რაც უნდა ძალიან მოგვეწონოს იგი,  
მეორეს მხრივ როლი რაც უნდა უსიამოვნო იყოს  
ღ მის სიპატარავე ჩვენს თავმოყვარეობაზე  
დეს, მაინც უნდა ვითამაშოთ, ვითამაშოთ სიყვარ-  
ულით, როგორც ყველაზე ძვირფასი როლი.  
დაახ, ეს გადამეტება არ არის: საჭიროა ჩვენს  
თავს ძალა დავატანოთ შევიყვაროთ არა  
საყვარელი როლი. ამ გვარ მსხვერპლთა შემ-  
დევ აღრე, ან გვიან, რასაკვირველია, აუცი-  
ლებლად-კი ჩვენ სავსებით დავაკმაყოფილებთ

ინტერესებს ჩვენსას, აგრძელებ ჩვენის თავმოყვარეობისას. ეს დაკმაყოფილება გამოიხატება სხვა და სხვა რამეში. უპირველესად, გახდომა წვერად ამ, შესანიშნავ თავის წყობილებით, არტისტიულ თეატრისა, ათასჯერ მეტი ჯილდოა იმისი, რომ ჩვენ როდისღაც მოგვიხდა არ გვეთამაშნა ის, რაც გვინდოდა, ან გვითამაშოა ის, რაც არ გვინდოდა. შემდეგ, შეერთებული და ძლიერი დასი ნიმფილის აქტორებისა — ეს ის ძალაა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიონ, რომელსაც ვერ დააქცევს ვერავისი ერთეული ნება და სურვილი, ვერას დააკლებს ვერც მტერი და ვერც მოყვარე: ეს საერთო ძალა მთელი ნიჭიერის დასისა ამასთანავე ძალაა თითოეულ მისი წევრისაც. და ბოლოს, მხოლოდ ამ მხრით — **შემოქმედებითი და ინდივიდუალური ძალთა განვითარებით**, რომელსაც სარჩულად უძევს საერთო მისწრაფებანი და ინტერესები, შეგვიძლიან განვახორციელოთ ის თეატრი, რომელზედაც აქტიორს შეუძლიან სთქვას: თეატრი — ეს ჩვენა ვართო, რადგან ის მართლაც აშენებული იქნება **არტისტის დამოუკიდებელ შემოქმედებაზე.**

ერთი რუსის დიადი მოაზრებთაგანი განსაცვიფრებელის სიტხლით ახასიათებს პროცესს ყოველის ქმნილებისას — შემოქმედებისას: „გრძნობას ღრმა დაუკმაყოფილებლობისა თავის ქმნილებით, გრძნობა იმისა, რომ იგი არ შეეფერება იდეალებს **მშვენიერებისას** და აზრს ხელოვნებისას, — ახასიათებს ნამდვილს მხატვარხელოვანს, რომლისათვისაც მისი შრომა მხოლოდ ტანჯვაა, თუმცა მხოლოდ მასში-კი პოულობს ცხოვრებას. ვინც მოკლებულია გრძნობას ამ მუდმივ უკმაყოფილებისათვის ქმნილებით, რასაც შეიძლება დავარქვათ თავმდაბლობა მშვენიერების წინაშე, ის ნამდვილი ხელოვანი არ არის“. ამას სწერს კლასიკი-კი არა, რომელსაც ბევრს დასცინიან ხოლმე, რადგან ახალი არ არის. ამას სწერს 1909 წ. „ვესტი“-ში ერთი საზოგადო „წინამძღოლთაგანი“ ს. ნ. ბულგაკოვი. მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოების - მიერაც ჩვენ წამოყენებულია ასეთი მოთხენილება, ძველი, ვით ხელოვნება.\*)

**ა. იუნი (თ. ა. ი. სუმბათაშვილი)**

\*) ამ სიტყვებით მიმართა ა. ი.—მა მხახიბოთ მოსკოვის საიშპ. თეატრი სეზონის დაწყების წინ. დაბეჭდილია ჟურ. „Рампа и жизнь“-ში.

**მ ლ ე გ ი ა**

თრთოლოვით-ცახცახით მთების გაღაღმა ჩაქრა მზის სხივი უკანასკნელი. ირგვლივ ბუნება მოიცვა სევდამ, მწარედ ჩაფიქრდა, — ჩაიცვა ბნელი. მთის მწვენი მკერდზე ჩასთვლიმა სოფელს, მდინარე მოჰყვა ბუტბუტით ნანას; შრომით მოღლილსა და ქანც-მიღოეულს ტანჯვას უქარებებს მშრომელთ ქვეყანას. მაგრამ მის ნანას კვლავ ერთვის კვენესა, მაშვრალთ გულიდან ამოხეთქილი და მას ხანდასმით მიჰპაძავს ხოლმე ფოთოლი, ოხვრით ჩამოკვეთილი...

**ი. მკედლიშვილი**



**ქართული თეატრის ისტორიის მასალები**

**119 წელი ქართული თეატრისა**

სათეატრო წარმოდგენები საქართველოში დაიწყო 1790 წ. ერეკლე II მეფის დროს წადაქმი და ეწოდა „სახის მეტყველება“. წარმოდგენები იმართებოდა ჯერ მესხიშვილების, მერე ორბელიანებისა და შედექაშვილებისს.

ამჟ დროს წარმოდგენები იმართებოდა თეატრ-ში.

თამაშ. ავალიშვილმა 1791 წ. დასწერა დრამა „მეფე თეიმურაზ“. შინაარსად ზეუსს აქვს ის, რომ მეფე თეიმურაზ კუბოში წამოდგება და დაინახავს მოქალაქეს მილუაშვილს, ვერაზაულად ჩაცმულს. გაუკვირდება საზოგადოდ ხსენებულების ცვალებას და წამოისახებს: „დახ; საქარაველი უბედური ქვეყანა! მგრამ, ერეკლე, შენი იმედი მაქვს, ჰმართაო სახელოვნად“.

ავალიშვილზე გადმოთარგმნა კომედია სუმბათაშვილის „რკის მატარებელი“. ეს ზეუსს სამჯერ წარმოდგინეს 1791 წ. ამავე წელს გადმოთარგმნა „ღედა რაყიფი ქალისა“, კომედია 3 მოქმედებად, რომელიც წარმოდგინეს 1792 წ. ავალიშვილმა ამავე დროს დასწერა ორ მოქმედებათა კომედია ქართველთა ცხოვრებიდან „მკვდრების მუსიკა“. არტისტიკად გამოყოფენ დავით ბატონიშვილი, თამაშ ახდრინავაშვილი, მეფეთა ირაკლის, გიორგის თაგად ავალიშვილის ქალები.

დავით ჩოლოყაშვილმა, ღირაქოს — დრამატურგმა, 1793 წ. გადმოაკეთა ერეკლე მეფის გასართობად იფიგენია რსინისს.

ამის გვიამბობს ჰისტორიკოსი ა. ს. სხსნაშვილი თავის წიგნში *Очерки по истории груз. славности (выпуск 3-й. Москва, 1901 წ.)*

ვინმე გაბრიელ შაორო XVIII სუეკუნში მართავდა წარმოდგენებს, სწავტ თამაშობდენ ლექსად დაწერილ სცენებს ძველი აღთქმისას. ამ წარმოდგენების ბილეით დიდდა ორ შაურად და ზედ ლექსად ეწერა: „შაური ორი გაბრიელ მაიორი“

მეფის ნაცვალმა თად. მ. ს. ვორონცოვმა 1850 წ. ქართული თეატრი-კი არ დაარსა, თუ შეიძლება თქვს, განახლა, აღადგინა და არც გაყრა არის შირველი ქართული ზეკს. მასხსადმე 1850 წ. იანვრის ორი-კი არ უნდა ჩათვალოს, თეატრის დაარსების სხსთვრ დღედ, არამედ 1790 წ. \*).

3. ა.



მისიობი ქალი

ბარბარე მელიქიანი

25 წლის სსსტენო მოღვაწეობის გამო



## ქართული დრამატიული სოლა

(გმუდენი დრამატ. საზოგადოებას)

ახლა მეტი არ იქნება, ამ წერილს ასეთი სკოლის გეგმაჲ ჩაუერთოთ. რაღა თქმა უნდა, ეს გეგმა არ შეიცავს ყველა საგნებს, მაგრამ აქ ჩამოთვლილი საგნები, ყოველ ექვს გარეშეა, უსათუოდ სავალდებულოა ყოველი მომავალი მსახიობისათვის. როგორც მკითხველიც შენიშნავს, პირველი ადგილი ამ საგნებში **ქართულ გამოთქმას** აქვს დათმობილი—დეკლამაციას.

აი, მოკლე სქემა საგნებისა:

1. დიქცია (გამოთქმა);
2. დეკლამაცია;
3. ლიტერატურისა და დრამის ისტორია;
4. ჩენი თეატრის ისტორია;
5. ფსიხოლოგია;
6. გრიმი და მიმიკა;
7. გალობა;
8. ცეკვა და პლასტიკა;
9. ფარიაკობა (фехтование);
10. ხატვა;
- 11 პრაქტიკული სამუშაო: წარმოდგენები, როლის კითხვა - სწავლა და სხვ.

აქ მოყვანილი საგნების მნიშვნელობას მსახიობისთვის არ შეეცხებით: ცოტათი ჩახედული ადამიანისათვის იგი თავისთავად აშკარაა. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა

მივაქციოთ დიქციასა და დეკლამაციას, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოგსპოთ მსახიობის ნაკლი ამ მხრივ. ყოველ ექვს გარეშეა, პირველ ხანად ხელის ფათურით სიარული მოგვიხდება, რადგანაც არავითარი სახელმძღვანელო ძიფი არ მოგვეპოვება: ახალი სკოლისათვის ჩვენვე ვადგენთ სახელმძღვანელოს და მუშაობის დროს-კი უსისტემობა ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა არა სასურველიცა. მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ სწავლის ნაყოფი ჩვენ შეგვიძლია დაგვფასოთ და, თუ შეცდომები შევნიშნეთ, როგორცაა, მაგალითად, — შეგირდების წარმოდგენა, როლის კითხვა და სხვ. და სხვ. ეს პრაქტიკული მეცადინეობა ერთგვარს კორექტივს შეიტანს ყოველთვის ჩვენს მეცადინეობაში, გავგირკვევს თან და თან გზას და გავგიფართოვებს მოქმედების ასპარეზს. მასალა ამ საგნებისათვის ძლიერ მდიდარი გვაქვს. უნუგეშობა ამ მხრივ ხულო ტყუილია და უსაფუძვლო. საჭიროა მათი დალაგება. განა ქართულად არა გვაქვს „იგავ-არაკები“, — ეს დაუშრეტელი წყნარო სადეკლამაციოთ? განა მშენიერი მასალა არ არის ნ. ბარათაშვილის, ერისთავის, ჭავჭავაძის, აკა-

\* თუ ვისმეს უფრო დაწერილებითი ცნობები მოგვპოვება და მოგვაწოდის, დიდის სიამოვნებით დაგებტვადთ.

რამდამ.

კის და სხვების ლექსები? განა რუსულ დეკლამატორიუმს ჩამოუვარდება შანშიაშვილის, გრაშაშვილისა და სხვ. ახალგაზრდა მწერალთა ლექსების კრებული? სწორედ აქ უნდა ვეძიოთ მასლა ჩვენს შერობისათვის.

რაც შეეხება დანარჩენ საგნებს, მათი სწავლება ისე, ძნელიც არ არის, როგორც შეიძლება მკითხველს ეჩვენოს. თუ მაინცა და მაინც საკუთარი გერვი შოვეთ პირველ ხანად, მაშინ თავისუფლად შეგვიძლია ვისარგებლოთ რუსული სახელმძღვანელოებით სასცენო ხელოვნების ამა თუ იმ საგანში. ამ შემთხვევაში დიდ დახმარებას გავგიწევს რუსული სათეატრო ჟურნალის „თეატრი და ხელოვნების“ მშვენიერი გამოცემები. აქ ნახავთ გრიმის, დეკლამაციის, მიმიკის სახელმძღვანელოებს. მასსადავს, მომავალი სკოლის პირველ მასწავლებელს ერთი დარჩება გასაკეთებელი: ქართულად გადასცეს თავის მოწაფეებს თავის-მიერ წაკითხული და ყველაფერი მაგალითებით აუხსნას და ცოცხლად აჩვენოს.

მასწავლებლის ხსენებაზე, შეიძლება, ბევრს გაელიმოს: „სად არის ამის ხალხი?“—იკითხოს. მაგრამ ესეც უსაფუძვლო გულგატეხილობა იქნება: ამისათვის არის ხალხი, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს ამ სკოლას თავისი ცოდნით და გამოცდილებით. და თუ დღეს იგი არსად სჩანს, ხვალ ამ საქმის დაწყებისათანავე ჩვენ სრული უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ დაეხმარნენ და თითო საათი შესწირონ იმ საქმეს, რომელზედაც ყოველი საზოგადო მოღვაწე მოვალეთ რაცხს თავს ორიოდ სიტყვა მაინც სთქვას. იკმარონ ის ცრემლი, რაც მათ ბედ-უკუღმართ ვარსკვლავზე დაბადებულ ჩვენს თეატრზე აფრქვიეს! იკმარონ, რაც სწერეს ან ილაპარაკეს! იკმარონ, რაც აწაზრდულად სთათხეს და ლანძღეს სცენის მუშები! შეიძლება ყოველივე ამით რაიმე სარგებლობაც მოუტანეს საქმეს, მაგრამ ამ ჟამად მათ წინ გადაშლილი აქვთ ფართო ასპარეზო მოზავლის გამოსაქცეად. თუ აქამდე ანგრევდნენ და ჰკიცხავდნენ, აწი სულ სხვაააშენონ, ახალი და გამოიჩინონ მთელი თავისი უნარი და ცოდნაც—

მარტოოდნენ თითო საათის შეწირვით!..

სალსარი,—აი, მიმივ ლოდი, რომელზე-

დაც უსათუოდ უნდა წაიბორძიკოს და ხშირად კისერიც მოიტეხოს ხოლმე ჩვენმა დაწყებულმა საქმემ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასეთი ტვირთი არ ელის ქართულ დრამატიულ სკოლას. რასაკვირველია, ძნელი არის ამთავითვე გამოანგარიშება ყველა ხარჯისა,—ეს არც კი შეადგენს ამ წერილის საგანს. მკითხველი თვითონვე მიხვდება, რომ პირველ ხანად ამ სკოლას მეტად მცირე ბიუჯეტი ექნება. არ შეეცდებით, რომ ვსთქვათ, ორიოდვე მასწავლებლის გარდა არაფერ მოითხოვს გასამრჯელოს-მეთქი. ამ სკოლისათვის საჭიროა ორი მოზრდილი, ესტრადიანი ოთახი და პიანინო (ქირით შეიძლება). ამ ხარჯს სახვებით დაჰფარავს შევირდების-მიერ შემოტანილი სწავლის ფული. ესეც რომ არ იყოს, ამ მიზნისათვის სხვა წყაროც არის. ორ თვეში ერთხელ მაინც უნდა გაიმართოს შევირდების წარმოდგენები, რომლის შემოსავალი 70—100 მანეთამდე ყოველთვის ავა: ის, ვინც დაინტერესებულია ჩვენი სცენის ბედით, ყოველთვის დაესწრება მოწაფეთა ამისთანა სავარჯიშო წარმოდგენებს. აშკარაა, ეს წყარო არც ძლიერ ფუქსავატი იქნება. დასასრულ, დრამატიულ საზოგადოებას შეუძლიან ამ მიზნისათვის თეატრის დიდი ფოიეც გამოიყენოს დროებით, სანამ მკვიდრ ნიადაგს მოპოვებდეს.

დრამატიული საზოგადოების პირდაპირი მოვალეობაა სამშობლო სცენის აყვავება ყოველის საშუალებით. ერთ ამისთანა საშუალებას წარმოადგენს საკუთარი დრამატიული სკოლა. სწორედ ახლა უნდა იზრუნოს საზოგადოების გამგებამ, რადგანაც იგი გაცილებით უკეთეს პირობებშია წესლს, ვინემ წინდ. სხვა არა იყოს რა, ქართული თეატრის გამგე ის არის. თეატრს კი დიდი შწინგნელობა აქვს სკოლისათვის. რუსეთში ასეთი სკოლები ანტრეპრენიორს მიმართავენ ხოლმე და სოხოვენ, შევირდების სავარჯიშო წარმოდგენებისათვის თეატრი დავითმეთო. ჩვენ თეატრს დღევანდელი კრიზისი უსათუოდ უნდა ემებდეს საშუალებებს ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად. და რომ სკოლა დიდ სარგებლობას მოუტანს თეატრსა, — ეს ხომ წერილის საგანი იყო.

დასკვნა?

დროა ვიფიქროთ და ახლავე სამზადისს შევეუდგეთ!..

პ. დაღვაძე

# მეგობრობა

დრამა 3 მოქ. 4 სურ.

## მოქმედება მისამე

მაია,	ტატე,
ქეთო,	ვაჟტანია,
მარიამი,	მინა,
ქაქალა,	დავითი,
მინა,	გოგია,
პირველი ყარაული,	უსინათლო,
მეორე ყარაული,	

გლეხები და ჯარის კაცი.  
სცენა მეორე სურათისა

### I

#### ტატე, ქეთო, მაია

ტატეს ხმა სიმღერის—(შეგნადან გუთნის კიდეზე)

... გამჩენო! ამიხდინეო:

მალღით მზე დამდინეო...

თუ გინდა ჩემი დარჩენა,

ციება ამაცდინეო...

**ტატე** (შეგნადან. მესრეების ბანი ისმას) აბა, დაუჩქარეთ, გენაცეთ, ბიჭებო!.. (ჭეჭვება მათ ბასსა) ოჰოჰო, ჰოო... თფუ,.. შენი გამჩენის ჟირიმე, შენო.. (სიმღერა კარგა ხნის განმავლობაში სულ-სულს შესწყდება) ეს ბოლოც გავიდეთ და მერე ავუშოთ.. ჰოო..

**ქეთ.** (შეგნადან, რა შემოგლეხს სსსაფლავს მსრადან) რომელ გუთნიდელის ხმა?

**მაია** ტატესია, ჩემო გარდილო!

**ქეთ.** საწყლები! მუშაობაშია-კაჰ მხესა ნატრობენ.

**მაია** სოფლისა, ჩემო გარდილო, მიწა, მზე და წყალია. ამის მეტი არა გააზნო-რა საზრდოთ. გლეხს თუ ეგენი დაუნატრე-ლი აქეს—ალარა უჭირს-რა.

**ქეთ.** არა მარტო გლეხს, ჩემო გარდილო, არამედ ყოველს სულდგმულსა. განა იგივე არა სჭირიათ თვით ბატონებსა? რით განი-რჩევა ცხოვრებაში გლეხი ბატონისაგან?

**მაია** შთამომავლობითა.

**ქეთ.** არა, ჩემო გამრდლო, უფრო მდგო-მარეობითა: ბატონი ბატონობს და გლეხი მის-თვის მუშაობს. აი, ახლა მე, რით განვირჩე-ვი? დღემდის მხოლოდ ტანსაცმელით და კანის სინაზით.

მაია გონებით ჩემო გარდილო, გონებით.

**ქეთ.** არა, ჩემო გამრდლო, არც გლე-ხებს აკლიათ გონება, ხოლო იმათ არა აქეთ იგი განვითარებული. რა ვიცით, რომ მიეცათ მიხასთვის იგივე განათლება—რაც ჩემს ძმებს, თუ იგი მათ არ გაუსწრებდა?!

### II

იგინივე, ანდრია

**მაია** (რა შეამჩნევს ანდრას) გაათავეთ, შეი-ლო, ხენა?

**ანდ.** (შემოუხუდი) არა, მალე გაათავებენ. (კანკალით) მე გამაცია, დეიდაჩემო.

**მაია** დეიდა მოგიკვდეს, შეილო, დეიდა. გაიქე, გენაცვალოს დეიდა, შეილო, და გათ-ბები... (ანდრას გარბას) დმერთო! როდის, რო-დის, ამოვარდება, ეს გულმკვდარი ციება-ცხე-ლება.. როდის განთავისუფლდება...

**ქეთ.** სანამ კედელი არ დაინგრევა, ჩემო გამრდლო... ნეტა, კედლის საძირკვლამდე მიხსწიეს?

**მაია** დღეს დღით, შეილო, საძირკვლამ-დე მიხსწიეს.

**ქეთ.** მანძილი, ნეტა, დიდი აქვს?

**მაია** ამ სასაფლაოს ნანგრევ ეკლესიიდან რომ ვიანგარიშოთ, იქნება ორი ქვევის სიგრ-ძეი.

**ქეთ.** შიგ მინა მუშაობს?

**მაია** არა, შეილო, შიგ ილია სთხრიდა. ახლა სამუშაო აღარა არის-რა. ნაღმიც შიგ საძირკველში გაუკეთეს.

**ქეთ.** მერე, პატრუქი ვინ უნდა გაუკეთოს?

**მაია** ბედმა ილიას არგუნა.

**ქეთ.** ილიასა?.. რაღა იმ მოხუცს, სოფ-ლის ბრძენს, არგუნეს?

**მაია** ეს თვითონაც სურდა. მიხაც ცეცხლს მიაწოდებს.

**ქეთ.** (წამოხტება) მინა?!.. მერე, რომ დაი-ლუბოს?... მებრამ, ჰო!.. ოღონდ, მალე-კი დაინგრეს კედელი..

**მაია** დანგრევით-კი, შეილო, დაინგრევა. ხოლო თუ ბატონმა მეორედ აშენება არა ბრ-ძანა..

**ქეთ.** მაშინ-კი სოფელი უნდა აღუდგეს წინა.

**მაია** ჩემო გარდილო! სოფელი მაგას ვერ შესძლებს. სოფელს ამით მეთაურები მოაკლდება..

**ქეთ.** ჩემი ძმა დავითი უმეთაურებს, ამისთვის უკვე მზად ჰყავს ტოლები, ახლა საჭიროა მოვიმზროთ ყარაულები..

**მაია** (ხელკეზაურთხილად) გმადლობ, შენ ღმერთო, რომ მეთაურობა ჩემს გარდილს არ გუნე... ახლა უფრო სიფრთხილე გემართებს..

**ქეთ.** დაივიანეს ყარაულების უფროსებმა.

**მაია** ახლავ იმათ მიხა შოიყყანს..

III

იგინივე, მიხა, ყარაულები

**მიხ.** (რს შემოვა კედლის მხრიდან, აწეუნებს) აგერ, ისინი აქ არიან. მე-კი წყაროს წყლისთვის წავალ.

**პირ. ყარ.** ფრთხილად, მოურავმა არ შეგამჩნიოს...

**მეორე ყარ.** მოურავი ექიმთან არის. (მისხ შესედავს ქეთას და ტავს)

**ქეთ.** გამარჯობა თქვენი! (გადაწყევებს თვალს მისს)

**მაია** რად დაივიანეთ?

**პირ. ყარ.** გაგიმარჯოთ!

**მეორე ყარ.** ამხანაგებში გვექონდა სჯაბასი.

**ქეთ.** მერე, დაიყოლიეთ?

**პირ. ყარ.** თვითონ ახლაც არ არის თანამა.

**მეორე ყარ.** თანახმა რომ არ ვიყვე, არც აქ ვიქნები, მაგრამ..

**მაია** შეილო! კარგა დაუფიქრდი, რა ყოფაში ხარო.

**მეორე ყარ.** ეგ-კი ანგრეა, მაგრამა. მე ამისათვის რომ ჯამაგირს მიძღვევენ? ამ ჯამაგირით-კი მე ჩემს ცოლშვილს ვარჩენ.

**ქეთ.** რაში გინდა იგი ცოლშვილი, თუ-კი შვილები სნეულნი გავეზრდებიან.

**პირ. ყარ.** მერე, თვით ამას უწევს ორი შვილი ციებ-ცხელებით.

**მეორე ყარ.** რა ვიცი, მერე ამ კედლის ბრალია?

**ქეთ.** ნუ თუ ვერ ამჩნევ, რომ ეს კედელი მზეს ეფარება? მე ხომ ცყოფილვარ შენს

მიწურშია? განა რაც იქ სინათლეა, ისევე ბნელა ბატონის სახლშია!

**მეო. ყარ.** მარა იქნება მზე იმ ხარეს არის.

**ქეთ.** ეს კედელი რომ აინგრეს, მზე თავის სხივებს ამ მხარესაც ყველასათვის თავისუფლად გადმოაშუქებს. ან წყარო განა არ დაგიღევია, მისი გემო ხომ გაგილია?

**მეორე ყარ.** რაც ყარაულად ვარ, მე იმ წყალს ვსვამ.

**პირ. ყარ.** ჩვენი ცოლ-შვილი-კი იმ მღარე წყალით იკვებება.

**ქეთ.** რომ სვამ, ის ანკარა წყარო, განა გემრიელია? მაშ ნუ თუ არა გპრძობ, რომ იგი ყველასათვის მარგებელია?

**მეორე ყარ.** მე განა კედლის დანგრევის წინააღმდეგი ვარ?..

**ქეთ.** მაშ რა გაბრკოლებს?

**პირ. ყარ.** ეს ამბობს: „ვაი, თუ მერე ისევე სოფელს მოუხდეს აშენებო. მაშინ თუ სასაციდელს აძლევდენ, ახლა ძალად ააშენებინებენო“.

**მეორე ყარ.** ეგეცა და ბატონი...

**ქეთ.** თქვენ ჩვენ მთგვეყვით და ველარ გაბედავს ჩვენი მამინაცვალი.. (მაიას) ეს რა წამომცდა..

**მაია** „ხოჯგერ თქმა სჯობს“.. ჩემო გარდილო, ქალბატონო ქეთევან!

**პირ. ყარ.** (გაკვირვებულად ქუღის მოაკლევავს) როგორ, თქვენ ჩვენი კეთილი ბატონის შვილი?!

**მეორე ყარ.** (ქუღ-მოკლევჯული გამოქვიშება) გერი დიდი ბატონისა? მერე მაგ ტანსაცმელში?

**მაია** ჯერ ჩუმად, შეილო! ორივემ პირზე ხელი მიიფარევით..

**ქეთ.** მე და ჩემი ძმა, გერნი თქვენის ბატონის მოადგილესი, ხოლო ჩვენის მზრუნველის, ვით მტარვალს, გამოვეცალათ. მოველით აქ, რომ სოფელს შეეუერთდეთ და დაეანგრიოთ ეს კედელი. დაეანგრიოთ ჩვენ შორის მზისა ამქალი, წყაროს დამზობი, დავისხნათ სოფელი სნეულებისაგან, რომელიც თქვენსკენა ცხელ-გამოშვერილი დახმარებას ელის..

**მაია** ქალბატონი მართამიც განშორდა ბატონს, წავიდა ქვეყნის მბრძანებელთანა, რომ



წაშრვილი, მოკ. პ. გამოსვლა VII. ნახატი მ. შხიკლინიძისა



მათ უზენაესის ბრძანებით დაუბრუნდეს, რაც-  
კი რამ ჩვენს კეთილს ბატონს აქ ჰკუთნებია.

**პირ. ყარ.** (აღფრთხიანებით) მაშ, გაგვიძეხით!  
თქვენთან თავს დაუდებთ მბრწყინვალე მზის-  
თვის.

**მეორე ყარ.** მე რაღას ვაქნევ?... მოგდევით  
მეც უკან. არ დავიხვევი, თუ გინდამც მოვყვ  
ამ კედელსა, ჩვენ წინ აყუდებულსა.

**მაია** წყნარად, შვილო, ნუ აღელდებით.  
გულის სიმშვედ და მოფიქრება საქმეს არ აფ-  
ნებს. თქვენში მოხზრე კეთილსა კვალი აჩვენ-  
ნით, ხოლო ურჩასა-კი გზა აუბნით...

**მეორ. ყარ.** ეგ მე მომანდეთ...

**ქეთ.** მაშ გასწით ახლავ. ყველა კეთილი  
თან წაიყვანეთ ხევის კოშკშია. იქ ჩემი ძმა  
ყმაწვილ-ბიჭებით, მას შეუერთდით. ყველას  
თვით ჩემი ძმა გიმეთაურებთ.

**მაია** იყავით მისი მორჩილნი ამა სოფლის  
განათლებლისათვის.

**პირ. ყარ.** (შესდგება) მაგრამ მინა ბატონ-  
თან რომ წავიდა? ახლა მისული იქნება...

**ქეთ.** (მასის) ვინ მინა არის! ნუთუ გაგვი-  
გეს და გვიღალატეს?...  
**მეორ. ყარ.** ეგ დაეკვეთოს—ვინც უღალა-  
ტოს.

**მაია** მინა ვანელი უნდა იყვეს. ამას წინად  
რომ შენ გეკამათებოდა, მეტოქეა გოვასი...

**პირ. ყარ.** პეტრას ქალსა, ნინასა; სიხთე-  
და.

**ქეთ.** მაშ, გაგვეცემს—თუ იცის რამე.

**პირ. ყარ.** არა იცის—რა გარდა იმისა—რაც  
უკვე გაგებული აქვს სოფლის წარმომადგენე-  
ლებისაგან.

**მაია** მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

**ქეთ.** (სწკარს წერიალს) მაშ, ყოველ ამას  
მივსწერ დავითსა

**პირ. ყარ.** (ყარაულს) შენ ეს წერილი წაი-  
ღე. მე-კი წავალ და გამოვიმძღვანებ ყოველს  
ჩემს ამხანაგებსა.

**ქეთ.** მერე ენდობი იმათა?

**პირ. ყარ.** როგორც ჩემს თავსა. ეგ მე  
მომანდეთ.

**ქეთ.** აი, გასწით, გახსოვდეთ ყველას: მზე  
და წყარო, რომელიც არის თქვენთვის დახ-  
შული.

**მეორ. ყარ.** ეგ დაეკვეთოს—ვინც უღალა-  
ტოს.

**პირ. ყარ.** ამინ! (გაჯღუკნ ორაგუნა)

**ქეთ.** საჭირო იყო მაგათი მხარი..

**მაია** ღმერთო! ჩვენო გამჩენო! გვადიღს შენით მონიკებული: ნათელი მზე და ანკარა წყარო...

**ქეთ.** გამრდელი ჩემო! დროა წავიდეთ და ვაცნობთ ყოველი ეპა მამა ილიას. გარად ამისა დავაღებული მაქვს დავითისგან: შევაშხალოთ სანეტარო დროსათვის ყველა..

IV

ივანიუკი, მიხა

**მაია** (რს შეამჩნევს მისს ლიტრათ) ავტო მიხაცა..

**ქეთ.** ახალი ხომ არა იცი რა?..

**მიხ.** ყოველივე ისევ ისეა, ქალობატონო!..

**ქეთ.** არა გრცხენვინ? ნუ თუ ახლაც მე შენი ქალობატონი ვარ?.. ნუ თუ სოფლის ქალებსა ამ ტანსაცმელში მაინც არ ვგვევარ?..

**მიხ.** (ენის დაშმათ) არა, არ..

**მაია** მიხა გლესია, მაგრამ მაინც იცის ფასი ბრწყინვალე მზის; მისთვის დანშულსა, როგორ შადრის მზისით მთვარესა.

**ქეთ.** ჰო, და, ჩემო გამრდელი, მზეს ხომ მაშინ შეეძლება ამა სოფლის განათება, როს კედელი დაინგრევა?..

**მიხ.** (წინ წამოწევით აღფრთოვანებული) ... გამოცოცხლდება..

**ქეთ.** (მოაწვეს მისსაკენ, თათქის უნდა ჩაუკრას) მაშინ მეც..

**მაია** (არაუკენ) როს დაინგრევა!..

**ქეთ.** (თავშეკავებული) ეგ წყაროს წყალია?..

**მიხ.** დიახ..

**ქეთ.** მწყურთან... ვთხოვ დამალევირო..

**მიხ.** ინებეთ, შენი ქირიმე.. (მოაწოდებს)

მიირთვით..

**ქეთ.** მეორედ, რომ წასვლა დაგპირდეს?..

**მიხ.** თქვენთვის..

**მაია** დროა..

**ქეთ.** (რს დაღვეს წყაღს, დაუბრუნებს ლიტრას) დროა, დრო.. დიახ, დროა.. აბა, გაგვიძეხ, მიხა, მამა ილიასთან.. (გადასს)

V

უსიტყვოდ გაავლანს სოფლისაკენ: ტატუ ღვედ-ავადებული და რამდენიმე მუხრე მხარსკვად უღვედ-ავადებულნი, შემდეგ გაისმის სლამურის ხმა.

VI

მაია, ქეთო

**მაია** მაშ, სალამურის ხმა ნიშანია ხელ-შეუშლილობის. მეც მალე მაცნობე ნიშანი ზარისათვის, რომ ზარის ჩამოკვრას მოაწყვეს ნარევა ამა კედლისა.

**ქეთ.** რომ იცოდე, ჩემო გამრდელი, როგორ მოველი მაგ წუთსა..

**მაია** ფრთხილად იყავი, ჩემო გარდილო! გულის ხმას არ გაჰყვე, მაგით ნიშანი არ დაავიანო..

**ქეთ.** გასწი, ნუ გეშინიან.. (მათ გაგა სსს-ფლას და კედლის შუა) როდის, როდის დაინგრევა ჩვენ შორის ეს კედელი და მომემის მიხასაგან გაუბედავი სიყვარული.. როდის ჩავეკრობით ერთმანეთსა, ვით ბუნების შეიღნი.. (სლამურის ხმა შესწყდება. გაკავარებული აქვლით იუურება) ეს ნიშანია... ფეხის ფაჩუნია..

VII

ივანიუკი, მიხა, გაუტანია, ჯარის კაცნი

**მიხა** (გამოქანება ქეთოსაკენ) აი, ბატონო, ეს ის ქალია, რომელიც ჩვენ გვაროგულედა..

**ქეთ.** (გაუსლტება მისს სელიდან. გაუდგება განსე და დუშისხეუს რეოდეკრს) შორს! არ მომეკარო.. მაშ, ეგ, შენა ხარ ერთგული ბრმა ბატონისა? აი, შენი ჯიღლო.. (ისერის)

**მიხა** (უცება) აი, მაინც, გაეხდი წერა.. დავკარგე ნინო..

**გაუტ.** დაჰყარეთ იარაღი.. (ჯარის კაცს) მოეშაადე, არ მორჩილდება..

**ქეთ.** (ჩუმაღ) ეგ არის შენი სიყვარული და ჩემი ძმის მეგობრობა?..

**გაუტ.** (ჯარის კაცს) ესროლე!..

**ქეთ.** (დუშისხეუს, მკრამ ვერ მოასწრებს და თვით დაღვეს ჯარის კაცისგან დაჭრილი) მაშ შენც.. (მოასმის ზარის ხმა და მას მოჰყვება სლამის გრგვინსა)

**სურათი:** კედელი გაიღვევა და გარგა მორდილად დაინგრევა. სინათლე. მზე გამოსწდება, სოფლი დასოფლიისაკენ გადასწილ. ერთს მხარეს გამოსწდება სსსატონა სსსსლე, მეორე მხარეს ეკლესია. ამა მეორე მხრიდან გადმოსწისხედება ანკარა წყალი და წავა სარუცხე. გაუტანია და ჯარის კაცნი გაშტრებულნი უეურებას.

**ქეთ.** (წამოაწეოს ზეუნას შემდეგ) იბრწყინე, მზეო, კაცობრიობისა...

VIII

ივანივე, მისა, გლენი

**მის.** (მოჭყავს ფეს - მოკლეყოლი გლეხის) ღმერთო გაშენო! ნუ ჩააქრობ ჩემს მზესა, ქეთევენსა..

**ქეთ.** მისა!.. (წამოაწეოს)

**მის.** (ჩაეკონებინა) ჩემო სინათლევ!..

**გაუტ.** (გამოეკეკვა) მე რაღას გავშტერებულვარ?., (ჯარას კაცთ) გარს შემოგურტყით...

IX

ივანივე, დავითი, გოგია, მარიამი და სხვა დიდ-პატარანი

**დავ.** (შემოსვლისთანავე) მე სად ველოდი და, აი, სადა ყოფილან—გოგია! შენ გვერდით..

**მარ.** (სოფლას მხრიდან შემოვარდებ ხელში ქაღალდით. გუტანია და დავითი ვერცეო მასწვრბენ დაზინდაზინებს სპობდღეულად) შესდევქით!.. ნუ გინდათ უბრალო სისხლი.., (ამ დროს მისამის გასარულ ზარის ხშირი ხმა) თქვენა, ყმაწვილო გაუტანიო!.. აი, ბრძანება...

**გაუტ.** (გამოეჭამება და ჩამოათმუქს ქაღალდს) დიახ, მე გახლავართ!..

**ქეთ.** მისა..

**მის.** ქეთევან.

**გაუტ.** (გაიხუდას გაცემით) ეს ხომ..

**მარ.** (გაეკანება ქეთევენისკენ) მსხვერპლი?!..

**დავ.** (რს იტნას დას მის) დაო, ქეთევან!.. (წამოსწეოს და უსინჯავს ჭრილობას) ჩქარა ექიმი..

**მარ.** (ქეთოს წინ მუსღზე დაეკნება) შევილო ქეთევან!.. ჩემი მსხვერპლი ხარ..

**გაუტ.** (გაოცებული) როგორ! ქეთევენი?!..

**დავ.** შენი სატრფო!.. ბრძამო ბრძანებინავე! ხედავ, ვის დაუპოკლენ დღენი?.. (წამოაწეოს) მაგრამ მე ვადავინდი...

**ქეთ.** (დავითს შეაჩერებს) არა, ძმაო!.. მე და მისა ერთად დავემარხებ..

**მის.** (გადაესვენება) ჩემო სინათლევ..

**ქეთ.** (ერთმანეთზე გადასვენებულნი) ... ნიშნად სიყვარულისა...

**დავ.** (თავ ჩაქინდრული) მაგით ვაიდება ხილი?!.. ჩემო დაიკო! ხილი ხარ კაცობრიობისა...

X

ივანივე. უსინათლო, ქაქალა, პეტრია, ტატე

**უსინ.** (შეგინდან) მიმიყვა, შევილო, სადაც გაირღვა კედელი, ჩვენ წინ აყუდებულა...

**ქაქ.** (გამოხნდება. ანაშესეს) აქედ, პაპია, აქედ..

**უსინ.** (ამ დროს ივანივე ზარის ხმა. მსოფლად მისივე გლეხის ნიშნად) ვგრძნობ, შევილო, ვით ბნელ ოთახში მზის სხივსა შემოკვერტილსა.. (ზარის ხმაზე თავს დაიქნებს) ხოლო მესმის სოფლის ზარის ხმა, ვითა გლოვისა...

**პეტ.** (ამ დროს შემოდის, შუქსარებით) ნაღმმა მოიყოლა მამა ილია..

**უსინ.** გლოვა, გლოვა ხალხის ზარისა... (მუხლის მოერთი) მამა იყო ამა სოფლისა...

**მაია** (მუხლ მოერაღა) წმინდათა წმინდაო... (რს შეაჩნებს სურათს, გაშტერდება)

(სურათი თანდათან ირეკვა: კედლის უკან კელებიას კუმიბათზე წმინდა ღრუბულზე გამოხნდებიან: ქეთო და მისა მუხლ-მოდრეკილად, ხოლო მათ უკან ზეზე იღია, რომელიც ერთის სეღათ უთითებს მზეზე, ხოლო შორეთი მათ ღოცავს)

**მარ.** (თავ-დახრილი) მომიტევენ..

**მაია** ავერ, სული მისი.. (ქეთოს და მისზე უჩვენებს) მიაქვს ამათი სული, რომ უზენაესმა დაავიკრვინოს..

**უსინ.** ... მათი გულისთქმა იქ ზენას ამცნოს...

(ფარდა ნელ-ნელა ეშვება)

1909 წ. ს. გლახაშვილი



\* \*

ფაქიხი რწმინათ სულ-აღცხენულებადრე დაეკარგე სიმშავე სულის, თავგანწირულად მივსდეკ ვარსახს, ტესლში მრავალჯერ ნაწრობას გულის!

დე, კვლავ მამსხვერზლას ცაღისწამებას, ბაღწთ კვლავ მატუვითონ წამებას ვჯარო; მანხ დავუკრავ ჩემს ჩანგს მუკუნსორეს, ტულს ვერ შემავართობს სეკ-ბეღი მწარო...

ბოღმში ჩავრგავ იმედის ვარდს, ტრემლებს ვაპურებ, ვით ცვარს ცაღრს, ჩემს ეოფას ვავსთქვევ ვითა ტრეფაღში, დამიღათი შეგვამ ტესლას ქვეწიხურს!..

კ. ფშაველია

დრამის მოკლე ისტორია

4

კომედია.—არისტოფანე.

ნიკოლოზ ბერძნის ხელნაწი დაიბეჭდა ლიტერატურა შექმნის ძველს დროს არა მარტო შინაარსის მხრივ, არამედ გარეგნულადაც, ფორმის მხრივ; თათქმის ეგვიპტე ფორმა — გამომხატულება ახროს თუ გრძობისათვის შვერდას-მადრ, რასაც ჩვენს დროში ვხვდებით, რითაც დღემოდამ ვსიამოვნობთ და აღტაცებაში მოვიდვართ, — ეგვიპტე ეს ფორმები მხატვრულ ნაწარმოებთა ჩამოყალიბება და გამოხატვა ძველი საბერძნეთის კეთილსინამდვილე იყუნდა ფილოსოფია; თუნდა ლირიკული და ეპიკური ზოგნა; ასევე იყო დრამატული ზოგნისა; მასწავლებელი შეიქმნა ფორმა ტრაგედიის (ესილიის და სოფოკლე), დრამის (ეურპიდე) და კომედიის.

თავთ სხელწოდება „კომედია“ — სხადამო სიმღერა—გვანებნებს, თუ სიდან წარმოსდგა ეს დარგი ხელთაწერ ნაწარმოებთა. ბახუსის დღესწავლის შემდეგ იმართებდა ხადამი, რომლის დროსაც უმართებულა ლეკვებს მღეროდენ და თან თამაშობდენ. აი, ამ ჩვეულებიდან ნელ-ნელა დაიბადა და შემდეგში განვითარდა კომედია. ზემონსხეებულს ლეკვებს ზირველად თავი მოჟიარა და ზეისისებური სხათათი მისცა სუხარიონ შეკარგლმა.

სადვილ კომედიის შემქმნელად ითვლება ეპიხარმოს ვახელი, რომელიც სიცილიაში ცხოვრობდა. მგრამ იმის თხზულებას არც ერთს არ მოუდწევია ჩვენამდის. მხოლოდ ის ვიცით, რომ რომაელმა მწერალმა პლავტუსმა ბახვად მას, მგრამ კომედიებით უფრო მდარე კომედიებს სწერდა.

ზირველში კომედია თუ უბრალო ჩვეულების გამოხატულება იყო, განვითარების შემდეგ იგი გადაიქცა სახიელ იარაღად ავტორის ხელში, რომელიც სსტიკად და მოურიდებლად ჰქონდა ნიამში ამოღებულს საზოგადო ცხოვრების ცუდს მხარეს, თუ კერძო ზირებს. ავტორები შეზღუდულნი არ იყუნენ არავითარი ცენზურით და ლაკებით. თავისუფლად შეეძლოთ, რაც სურდათ, კომედიის შინაარსად აქლოთ და გაკვირახათ. ძველი ბერძნული კომედია უმთავრესად ზოლიტიკური იყო, რადგანაც თითონ ბერძნების სკრთო ცხოვრება თხოულობდა მას. მართლაც დიდი სიმსხურა გაუწია კომედიის შინაარსს და ცინივამ და

ცუდი მხარების გამოხატულებამ; უფრო ხშირად კომედიის სგანს შეადგენდა საზოგადო მოღვაწის მოქმედების დაფასება. თუმცა ბევრჯელ სმარლიანთი იყო ასეთი გავიგება და ბიჭიერების გმობა, მგრამ, სმწუხაროდ, იმავე კომედიას სსსცილოდ გუხვდა დირსული და უოვლად ზტიტეტიკული სხესიც, როგორც, მგალითად, არისტოფანემ სოკრატე თითქმის სულელად გამოიყვანა თავის კომედიამი — „დრუბლები“.

მასწინელი ავტორი არამც თუ თავის კომერებს ავანზრკებდა თავის ნებახვად, არამედ შექმლილ მოუერებლისთვის ზირდამირ გამოთქვა თავისი ახრო — ზარბახისის დროს: — ხორა სცენიდან ორკესტრის ადგილას გავდადიდა და მოუბრუნებოდა საზოგადოებას; ზეისის ავტორი ან თითონ, ან ხორის მეთაურის ზირით ულანზრკებოდა მოუერებელს თავის გრძობებს და კერძო სმწიქებზე უვლახზე მტლად ასეთის თავისუფლებით სარგებლობდა არისტოფანე — კომედიების დიდებულია მწერალი.

არისტოფანეს ცხოვრების შესახებ ძალიან მცირე ცნობები დარჩენილი. არ ვიცით, როდის დაიბადა და როდის მოკვდა, ვიცით მხოლოდ, რომ იგი მხურავლე მინაწილითას იღებდა თავის დროის ზოლიტიკურ მოძრაობაში. მომხრე იყო მშვიდობის ზოლიტიკის და არისტოკრატული ზრტიის. ვიცით ავტორვე; რომ ზირველი მისი კომედია წარმოადგინეს 427 წელს (ქრ. შ—დე) და უგანსხეული 390 წ. (ქრ. შ—დე). ამ სხის განზვლობაში იგი მოუერვეტილო სწერდა ზეისეს; ზირველი სამი კომედია მან სხველინით გამოქვეყნა, მეთოხევი — „მხედრები“ — უვეკე თავის სსხელით. ძველად ცნობილი იყო იმის სსხელით 44 ზეის, მგრამ აქედან 4 ითვლებოდა უბადა, — მას არ ეკოთხინდა. ჩვენამდის მოახწია, სთაურების და მრავალ ნაწვეტებს გარდა, 11 კომედიამ, რომელიც წარმოადგენენ ერთად ერთს მოდიანს ნიამში ძველ მწერლობის დარგის. ქრონოლოგიურად ეს ზეისები შემდეგია: 1, აქარონლები (425 წ.). აქ არისტოფანეს გამოხატული აქეს მშვიდობიანობის სიკეთის ამ ახროთ, რომ თითხელები დაერწმუნებინა და ზავი შეეკვერეხებინა; 2, მხედრები. 424 წ. ამ კომედიამი მასწინად ავტობულია დემოკოვი კვლახი. — 3, ღრუბლები, 423 წ. არისტოფანეს სუვეტიკო კომედიაა. კომედიამი გავიგებულა მტლახ თიზიკა და თანამედროვე ფილოსოფია — სოკრატეს სსხელით; წარმოდგენის დროს კომედია დაჯილ-

დავკენ შესამე სსჩუქროთ. 4, კრახანები, 422 წ. აქ გაკაცხულოა ათინელებს დაგიდარბაის მიმდევრობა. 5, მშვიდობიანობა. 421 წ. ზაქის ეგო მეროე ჯოდლო. 6, ფრინველები. ძლან მსხვილი. ზიკსა, მიილო მეროე ჯოდლო. 7, ლისისტრატე, 411 წ. გამოყვანილას ქალების შეთქმულობა ქრეზის წინააღმდეგ. 8, ქალები ფესმოდორის დღესასწაულზე, 410 წ. მიმართულია ქალთმოძულე ევროპადეს წინააღმდეგ. 9, ბაყაყები — 405 წ. ამ კომედიაში მიიღო ზირველი ჯოდლო. 10, ქალები სახალხო კრებაზე, 389 წ. 11, პლუტარი — 388 წელს. არისტოფანეს კომედიების დანიშნულება ის ეი არ იყო, რომ მსურუბელი გაერთო და გაემიარულებინა, არამედ ის, რომ მათთვის ჩაეგონებინათ ზოლოტიკური კითხილდღობის სსჭირთება და სწეობროფი სიფაქიზე; ამიტომაც ავტორს აზრებდენ ხდომე შიგა და შიგ ჩართულ უხსამიურ და უწმარწონს ადგილებს. არისტოფანე იყო შექმული გამეღადვისი სიტყვით, მკვეთრის დაციხებით და გასათვარის ცტყებით; აგრედვე ენა მშვენიერი ჭქონდა და ზოგება სინანროით სრული. ამასთანვე იგი იყო შეტის-მეტე თავსედ, უმართობულ და უშეკრი..

**ნარვილი**



**ღრამბაზრბოთა ჯილდო.**

(წერილი მოსკოვიდან)

ბენიერაა ის დრამატურგი, რომლის სიტყვასაც ერთი მხროე ხორც-შემსხმელი ჭქავს და მეორეს მხროე მსურუბელ-მსმენელი. ამგვარ ზირბებში ავტორსაც ფრთა ესმის, ადგომითაყნება უძლიერდებს და მზად არის მიუღი თუისის არსებით შემწირის არჩულ სვანს... ასეა სვან დაწინაურებულ ქვეყნებში, ხდომე ჩვენში ეი?..

ხშირად მოხდება, რომ ერთი უბრდო შედლომით ავტორს ხდლის და უნარი ჩვეუროთ, სიმუდამოდ ხედი ავადებინათ დაწვეულ სქამეზე.. სვან ქვეყნებში ახდს ზიკსა, თუ ზირველი დდგბით სოთხდო შიბაეჭლიდებს ვერ მოახდენს, რადიანჯერე სვანკენ, სსზოგადობას იძულებელს ჭვოფენ, წარმოდგინას დაქწროს, ავტორს სსშუადებს ადევკენ თავის შინაქმედს ჩაუეგოდეს... ვიმეორებ ჩვენში ასე არაა: თუ ერთხელ როგორმე დდგეს ვისიმე ზიკსა, მერე ისე მიავიწეებენ, რომ იქნება ზიკის დედანც ვერ იბოვოს... სსვეტორო ჯოდლოს ვიდა სხივას?!

ვერ წარმომიდგენია, როცა ხეს ფესვებზე გაუხმება, სეუთფი ვითა უნდა მოისხს?!  
თითქოს თავისი თავის იმედი და რწმენა გავკვერობოდეს, თითქოს არადა მივეგნნა ჩვენს დრამატურგთა ნსმროში, დანვ უურადლებასაც არ ვაქცევთ...

ამ ბოლო ხსნებში რამდენიმე ორიგინალური ზიკს დაწერა და სოგეოროთი მათგანი წარმოდგენილ იქმნა სენსაზე, — რეკე წარმოდგენილი სოგეოროთი ზიკს სსზოგადობამ და ზრესამ მოიწინეს, დირსად სენსეს უურადლების და...

ამით კათავდა ვეკლავეორო. ავტორს-ეი, არამეტუე ზრემია, სსვეტორო ჯოდლო, — არამედ ქალდოს და შედნის ფუდიც ვერ მიუღია...

ჩვენს თეატრის გულშემსტავროთა უურადლებას მიავქვევთ ამ სვანსზე: დროა იგუდოსსმონ, რომ თუ, მგ., რსუთში შეიძლება უეკე სთავაშეგ ზიკსების ზრემითი დავილდობა, თუ იქ ყოფილ ავტორის სსსრებოდ დედსწვეტად ზრეტენტს იბდის ანტრპრენიორო, რატომ ეს ჩვენსაც არ უნდა შემოვადოთ?..

დირსეულს ჯოდლო, მშრომელს გასმრჯოდო!..

ი. გ.

**ჩვენი მსახიობნი**

**ნიკო გვარამე,**

ახალგაზრდა მსახიობი, სულ ექვსი — შვიდი წელიწადია სტენანვ გამოვიდა. პირველად გამოსვლისთანავე ისეთი ყურადღება დაიმსახურა სსზოგადობისა და სტენის მუშაკთა, რომ შემდეგი სელო ისთვის ქუთაისში გაიწვიო ვლ. ალექსიმეხის შვილმა, რომლის ხელმძღვანელობითაც გამოიწვრონა და მის ერთ საუთეორო მწაფედ ითვლება დღესაც. სთამაშობს ახალგაზრდა უმწველ კაცთა, განსაკუთრებით ნევრატენიების, როდეს. კარვად ასრულებს ნეზნამეოს (უდნან.შ. დსუჯილინი), ნანმანს, ებრაელებში გლუხოვცეკს (დღენი ჩვენი ცხოვრების), პატარა კახნ (პატარა კახი) და სს.



ახალგაზრდა მსახიობი

**ნიკო გვარამე**

თბილისისა და ქუთაისის სტენის გარდა, **5. 3.** პროვინციის სტენანვდაც მოწაწილობს ხოლომე: რამდენსამე ზაფხულს ხონში ხელმძღვანელობდა წარმოდგენების მმართველთ.

ბუნებით ნიკოერი, **5. 3.** მშრომელი და სასტენო ხელოვნების ნამდელი მოყვარულია.

## უკსოეთის თეატრი

ე. როსტანის ახალი პიესა „შანტეკლერ“-ი მოახლოვდა ე. როსტანის ახალი პიესის „შანტეკლერ“-ის სცენაზე დადგმის ხანა, და



საფრანგეთის გამოჩენილი დრამატურგი  
ე. როსტანი

მისი ახალი პიესის „შანტეკლერი“-ს გამო

ამ გარემოებამ საზოგადო ყურადღება მიიქცია. და მართლაც, პიესა, რომელშიაც ყველა მოქმედნი პირნი—მოლოდ ფრინველნი და ოთხფეხი ცხოველებია, დილაღ არის ესედენ დიდის ყურადღების ღირსი.

თუმცა პრესაში აქა-იქ ცოტა რამ ნაწყვეტებიც კი იყო ამ პიესიდან მოყვანილი, მაგრამ აქამდე მინც არა ჰქონდათ ამ დრამატულ ნაწარმოებზე ნამდვილი წარმოდგენა: ზოგს ასე ეგონა, თითქო როსტანმა „რინიკე კულა-მელა“ გადმოაკეთაო სასცენოდ, ზოგი მას არისტოფანეს-მიერ ნაქარნახვე სატირადღა სთვლიდა, ზოგს-კი ზოლოდგიურ ხასიათის სასცენო (წარმოსადგენ) ნაწარმოებად მიაჩნდა.

ხოლო ნამდვილად-კი ეს არის ერთი უბრალო ისტორია... საქათმეთისა. ასე ამტკიცებს, მავალითად, თვით ავტორი, რომელმაც გაზ. „ფიგაროს“ თანამშრომელს გაუზიარა პიესის ნამდვილი შინაარსი.

„1901-სა თუ 1902 წ.,—ამბობს ავტორი,—მე დავსეირნობდი კამპოს (როსტანის საზაფხულო სამყოფია) მიდამოებში. დაბა მირმონტის მახლობლად მე თავს წაფაყდი ერთი გლენკაცის კარმიდამოს; უბრალო სახლ-კარს ჩვეულებრივი ბაკი და გამოური ამშვენებდა. ჩემი ყურადღება საქათმემ მიპყრო და ჩემს უნებურად მის ბქესთან ვაჭყერდი. უნდა მოვასხენოთ, რომ იქ არაჩვეულებრივი არაფერი ყოფილა, ისეთი საქათმე იყო, როგორიც ბევრ-

გან სხვაგანაც მინახავს: სამტრედე განყოფილება, ლობე; ერთ ალაგას თავმოყრილი ნაკელი და გარეშეშო აუარებელი ქათმები, იხვები, ინდაურები, ციკირები; იქვე თბილ მზის სხივებზე გაწოლილიყო და ლახათიანად სთვლემდა ხატაურა კატა, რომლის ვევერდითაც ზარმაცად მიბაჯუნებდა პატარა ფინია. ერთის სიტყვით, სულ უბრალო, ჩვეულებრივი ეზო იყო. ერთ-ბაშად, საიდლანაც გაჩნდა მამალი: ამაყად თავმოდერებული, ყოყლოჩინა, თამამი, მრისხანე; ნაბიჯი — გმირული და რაინდული, შესახედლობა—ვაჟკაციური; მის გარეშეშო მყოფთ როცა გადახედვდა, აშკარად ეტყობოდა ზიზღი და მრისხანება, ერთმანეთში არეული. იმგვარად მიბაიჯებდა, როგორც მოკრივემბა იციან, როგორც რაინდმა ვაჟკაცმა, რომელიც სუნიით დაეძებს საფრთხესა და სასიყვარულო თავ-გადასავალს, როგორც მეფე თავის ქვეშევრდომთა შორის.

„და უეცრად, მოულოდნელად ამ სურათში მე დავინახე შხა-შხარფული ქარგა პიესისა. ეს აზრი-კი არა ყოფილა, ეს იყო ნამდვილი სანახაობა. მე დავინახე არა სორც-შესხმული ადამიანი ცხოველთა სამოსელში, არამედ სწორედ ისეთი სცენა, როგორც ჩემს თვალწინ ხდებოდა. მე ვიგრძენ, რომ შესაძლებელი იყო აქედან შექმნილიყო ქეშპირიტად ღრმა—ხალხური მხატვრული ნაწარმოები. შემდეგში ბევრი ვინანე, რომ ფოტოგრაფიით ვერ გადავიღე ეს სურათი.

— მაგრამ ფიქრი ნუ გაქვთ, — სთქვა როსტანმა, — თქვენ იმ ეზოს ნახათ პირველ მოქმედებაში სცენაზე სწორედ ისე, როგორც მე ვნახე ნამდვილად.

„ამ სანახაობამ,—განაგრძო დიდმა დრამატურგ-პოეტმა,—სულ მთლად შემიპყრო, და იმდენად მიმიზიდა, რომ შემდეგში სწორად დავდიოდი მირმონტში იმ საქათმის სანახავად, და მალე ჩემს გონებაში უკვე წარმოიშვა დღე-აზრი პიესისა“.

მაგრამ ამ მხატვრულ კონცეპციიდან სცენაზე შესრულებამდე დიდი მანძილი იყო. ამიტომ როსტანმა დაიბარა კამპოს თავისი ახლო მეგობარი—კოკლენი-უფროსი. პირველ წუთიდანვე როსტანს კოკლენი-უფროსი წარმოად-

გენილი ჰყავდა მამლის როლისთვის. პოეტმა გაუზიარა არტისტს თავისი გეგმა.

— თანამა ხარ თუ არა, — ჰკითხა როსტანმა, — მთელი საღამო ისე გაატაროთ, რომ არც პირი გინდეთ, არც ხელები, გვეცვათ ფრინველის ტანისამოსი და პატრონურად და გულწრფელად ითამაშოთ ნამდვილი მამალი?

„საწყალი კოკლენი! ახლაც თვალწინ მიდგას მისი ფერმკრთალი სახე... აუწერელია მისი მაშინდელი მრისხანე გამომეტყველება. აგრამ მალე დამშვიდდა, რადგან ჩქარა მიხვდა ჩემს იდეას. და ამის შემდეგ-კი თავდებიწყებაზე გაიტაცა ამ როლმა“.

რაკი მამლის როლის ამსრულებელი მხადა ჰყავდა, როსტანი მალე მუშაობას შეუდგა. ერთხელ, როდესაც იგი „რომანს მელიას შეხახებ“ და მის ისტორიას კითხულობდა, მის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა შიგ ამოიკითხა, რომ ამ რომანის უმთავრესი მგმირი მამალი — მე-XIII საუკუნეში რამდენჯერმე სცენაზე იდგა კი წარმოედგინათ..

აქ აღნიშნული პიესაც, რასაკვირველია, წარმოიშვა, სხვათა შორის, ამ ძველის-ძველ წყაროების გაელენითაც. 1904 წელს იგი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ავტორის ავადმყოფობამ, ხოლო მსახიობის კოკლენის გარდაცვალებამ, იმდენად შეაფერხა საქმე, რომ მისი სცენაზე წარმოედგინა აქამდე მოუხერხებელი შეიქმნა.

ქართული თეატრი

„სად მიხვალ?“ და „მარგარიტა გოტიე“

ბოლო ხნს ჩვენს თეატრს სიცოცხლე დაეტიო. ქართულ წარმოდგენებზე მრავალი სსოგადობა ესწრება.

ეს მოაქვს, რასაკვირველია, აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ამ ხნად წარმოდგენებში მონაწილეობას იღებენ ქ-ნი ნინო ჩხეიძე და დადა მუსხიშვილი — ეს თავსაჩინო ვასკვლავნი ქართულ სსცენაზე სელოფრების.

უკანასკნელ კვირას განმავლობაში წარმოდგენილ იქმნა სენეკების რომანიდან გადმოკეთებული დრამა „სად მიხვალ?“ და ა. დოუმას-შეილის უკვდავი „მარგარიტა გოტიე“.

ზარეულ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღო დადა მუსხიშვილმა, რომელიც ჰეტრანიუსის როლს

თამაშობდა. ბევრს არს ვიტყვით თვით დადა მუსხიშვილზე, რომელიც სრული განხორციელება იყო რანდელე დიდობიან და ზეჯერ სიამაყით შექმულ ჰეტრანიუსისა. მოგახსენებთ მხოლოდ, რომ ამ წარმოდგენამ ცხად ჰქვა, რომ ჩვენს მიუწევებულ სცენას ჰქვავს ასეთა მისხაობა, რომელიც უცდლობა სსცენა ნიჭი აქვთ და, თუ თვით არ ძლეუთ სცენას თვალის მსრულ ვარსკვლავებზე დაიქნენ, ის კი შეუძლიან, რომ სცენაზე საუკეთესო მისხაობებს დარსუელი ზარტყარობა გაუწიონ. მე ვამბობ ბ. ზარდალიშვილზე, რომელიც ამ დღეს, მართლაც, უხვალეობა არ იყო, მაგრამ მისს თამაშობაში სოცარი წინსვლელობა მოხსნადა.

„მარგარიტა გოტიე“ ში მონაწილეობას მიიღონინო ჩხეიძემ, რომელიც მარგარიტას როლს თამაშობდა. ნინო ჩხეიძე ამ დღეს შეუდარებელია იყო... მან სსუნებით, უხვალეობად და სკავარუელის ბუნებრივობათ განსაზღვრეს მშენებურა, ნინონი, მრავალ გულთა მამხიადეული მარგარიტა გოტიე, რომელსაც ბედა ჯერ ჯადოსნური ნეტარებით უდაბოდა, მაგრამ ბოლოს ამაუ ბედას სსმარხელის ცინიზმით შეკბდადა მისის გულს მსუადგომუდებელი წიდათა-წიდას.

არმანს როლში ბ. ზარდალიშვილი მშენებერი იყო. მისხაობას თავადანვე ბუნებრივი ტონი აიღო და ბოლომდე სსმაგალითად ჩსატარს თავისი როლი.

ჩვენ ვკვირდ ვურადლებს მთავრებით სხვლაზარდა მისხაობას მკალობაშიადას, რომელსაც, მართლაც, ამ სდამოს ბევრი ნაგულეულებს ჰქონდა, მაგრამ იგი უკვედს სსცენა ნიჭს წარმოდგენს; მს უჭირებს შრომა და კადვე შრომა.

ამ მისხაობებს, რომელიც კარგა ხნია დასმო ითვლებიან და ამ ხნის განმავლობაში სცენაზე სიარული და თავის დატყარს ვერ შეუწყვლიათ, შემდეგ ვიტყვით.

Ro-Ben

ს ი მ ხ უ რ ი თ ე ა ტ რ ი

ა, აპრონინი და მისი პიესა „შოტქმულნი“

ქართულ მეთხველს ცაგონილი ექნება სომეხთა ნიჭიერ მწერლის, ანეტის აპრონინის სსხელი. რადენიმე მის თხზულებათაგანი კავთარგმნილია ქართულ ენაზე. აპრონინი უკვე ერთი წელიწადია შეაზერეს და ამ ყადად როსტოვის ცაქმთა, სდაც მან დასწავლა, სხვათა შორის, ერთს ახელი, სომილიაური 3 მთქ. ზავს: „შოტქმულნი“ (უსტკაწერი), რომელიც ამ თვის 25-ს სომეხთა დრამ. დასმა წარმოადგინს ანტისტიულ სსზოგ. თეატრში.

ვისაც ცოტად თუ ბევრად გაუგებია აჭარბანის ნაწარმოებები, იგი უსათუოდ დაგვეთანხმება, რომ ეს შუქრული სიმები ერთი შუქურების, ვაგის, მისი მუდმივი დეკორის და უბედურების მგობრებულაა. ვიდრე ოსმალეთში კონსტრუქციონალური წესწესობა დამყარდებოდა, სიმები ხალხი დეკორილი და ტანჯული იყო ეოგელთაგან და ეოგელ შემთხვევაში.

ამ პერიოდში აჭარბანის სწორად სურათებს, ლექსებს, ზოგადად და რამზებს, რომელთა შინაარსი ოსმალეთის სიმების ცხოვრება იყო.

კონსტრუქციის შემოღების შემდეგ მან ერთბაშად შესწავილა ამ კილოთა წერა. შარშან მარტის დამდეგს მოხდა სომხელი სოციალ-დემოკრატიკა ადნაში, რომელმაც ოსმალეთის რამდენიმე სათათისი უმანგო მისხვერდია. ზოგადად გრძობიერება სულამ ვერ აიტინა ცთამდე მდლადებული ამ გვარი უსამართლობა და, მოუხუდავად იმისა, რომ ციკუმა დამწვედებული, მანაც დასწერა ეს ზოგადად, რომელსაც ახალი მიმართულება შემოაქვს სომხურს დრამატურებაში, ვინაიდან აქნობამდის ორგანიზაციური ზოგადად, სიმბოლოებთან სტილით, არავის დაწერია.

ელემენტარული აქსიომა, რომ ეგელს მშრომელი ხალხი, რომელ ცის ქვეშ უნდა ცხოვრობდეს, ეგელგან დეკორია. აჭარბანის მშრომელი სიმები გლეხობა ზედმეტადაა დეკორია.

მას სდევნიან, როგორც მშრომელს!..

მას სდევნიან, როგორც სიმებს!..

ხალხი სოციალ-დემოკრატიის შემდეგ იურებს და მდის, მდის იმდენ ხანს, ვიდრე ცა, ის რომლის ქვეშაც სცხოვრობდა, კათავდობდეს.

ერთი შეთქმულთაგანი, რომელსაც არავითარი საკუთრება არ ახდა, რომლის ცოლიც და შვილიც ხალხია, გზას უდობავს, არ უშვებს, რომ წავიდნენ და არწმუნებს, ცის ქვეშეთ მშრომელი ხალხი ეგელგან დეკორია. ხალხი არ უჯერებს, წის მიიწევს, მაგრამ შეთქმული აჩვენებს დღითაც კაცს, რომელიც ვითომ გზავს წევს. ხალხი მას ვერ ხედავს და შეთქმულს მტკვარის უწოდებს, მაგრამ იგი, თავის სიტყვის დასამტკიცებლად, კლდისა და დაფარდება და მათ გზას უდობავს ხალხს. ხალხი რწმუნდება. რომ შეთქმული მისი გულწრფელი მხრუნველი იყოფა, რადგანაც თავი გაიმეტა და კლდისა და დაფარდა. ხალხი უკან ბრუნდება და იწყობს ახალ ცხოვრებას, ხელახლად იწყობს თავისი სისხლითა და ოფლით გაღებნილი სმობლობს აქენ-

ბას. „მწუნებრება“, რომელიც ეოგელ ჯამის სდევნის ხალხს, მოკვლევსა შეთქმულს; უკანსწავლა კმე-დარება ზიოგულს—მაგობრებო. „მწუნებრება“ კამობრება, — შეთქმული კვდება.

ზოგადად წარმოდგენის სურათებს, აბთოეოგებს, იმ განსხვავებით, რომ მოქმედი ზიონი ლანარაკობს. მოქმედებათა შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. კარად მისა, ზოგადად მრავალი ადგილი ბუნდოვანდაა გამოყენებული.

ჩვენის ახრით ამ თუ იმ ნაწარმოების სიმბოლოში იმაში კი არა მდგომარეობს, რომ მსურველთა ანუ შეთხვევლთათვის სრულიად გამოურეკვლად დარჩეს, არამედ იმაში, რომ მსურველი, ანუ შეთხვევლი ჩაფიქრის და რამე დასკვნა გამოატანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ეოგელგვარი სისულელე დასწეროს და სიმბოლოურ ნაწარმოებად მოხალო. Artemius

მუსიკა

**მესამე სიმფონიური კონცერტი.** როგორც ვიცით, ეოგელ წელს თბილისში სისტემატურად იმართება სიმფონიური კონცერტები, რომლის შესამეთაგანი დღიან საიმფონიოთი შოგისმინეთ ამ თვის 27-ს, სხსხინო თაგტრში.

კონცერტს სუამოკვანდობდენ ბ-ნი ნიკოლაევი და აბდოხეო, სერაპეკაზე დამკვრელთ ვალაშუსა და წოვანთავის მინაწალოებით. კონცერტის პირველი ნაწილი შესდგებოდა ბეთოვენის შემდეგ სიმფონიისა და ჩაიკოვსკის concerto-დს.

ბეთოვენის ამ ნაწარმოებში, მის ცხრს სიმფონიისათა შორის მსუქნიერთაგანმა ძლიან კარვად ჩაინარა. უფრო დიდი შთაბეჭდილებას მოახდინა მცირე Allegretto-მ; უმთავრესად სისამიფონო იყო ის ადგილი, სდაცდ ეოვანსწელები უკრავდენ მელოდაის. გრძობით გამსწავლულნი, სერაპეკის accompaniment-ით.

ბ. ნიკოლაევი დიდის ოცტატობით ხელმძღვანელობდა presto და Allegro con brio. უგვდავის ბეთოვენის შემდეგ დიდის საიმფონიოთი შოგისმინეთ ჩაიკოვსკის concerto-ს პირველი ნაწილი, რომელიც ბ. ვალაშუმ ძლიერ კარვად ქაისრულა.

თუმცა მის passag-ში არ იყო ძლიერი, მაგრამ andante-ში კი სისამიფონად იმდებ.

კონცერტის მეორე ნაწილს, ჩვენდა სამწუნებრად თური ვერ დავუგდეთ, რადგანაც სხვაგან ვიუჯოვით მიწვეულია.

Violoniste D. Davidian.

რედიაქ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი